

„ისტორიის რეკონსტრუქციების“ 2016 წლის ნომერი საკმაოდ ფართო შინაარსობრივი და მეთოდური დიაპაზონის წერილებს სთავაზობს მკითხველს: თამარ თოლორდავას და მარიამ მათიაშვილს აინტერესებთ ქალაქების განსაკუთრებული როლი საქართველოს მოდერნიზაციაში, რევაზ ქოიავა საქართველოს მეორე რესპუბლიკის ჩვენს თვალწინ გათამაშებულ დრამას ანალიზებს, ავთანდილ ჯოხაძე და მიხეილ ბახტაძე კი ქართული ისტორიის ორ უბერებელ მითოლოგემას – თამარისეულ ოქროს ხანას და გასაბჭოებას – უბრუნდებიან. ერთგვარი ირიბი შეხება აქვს ქართული ისტორიის ტრადიციულ პარადიგმასთან არჩილ ჩაჩხიანსაც, რომელიც პანთურქიზმის ფენომენს აგვიჩვენებს, თუმცა კი მშრალად, შორს მიმავალი დასკვნების გარეშე.

დასკვნების გამოტანა, როგორც ალმანახის პირველი ნომრის შემთხვევაში, მკითხველის პრეროგატივაა. აკადემიური საზოგადოების ნებაა, გაეცნოს ამ წერილებს და თუ ისინი კრიტიკული რეფლექსიის სურვილს აღძრავს – ალმანახის დანიშნულება მიღწეული იქნება: მისი მიზანი იმაზე დისკუსიაა, თუ რა ხდებოდა ჩვენს თავს წარსულში, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბით. რა მიმართება შეიძლება ჰქონდეს ამ ხლომილებებს დღევანდელი ქართული საზოგადოების ინტერესებთან, იმპულსებთან, შიშებთან. თუ ჩვენი დღევანდელი კოლექტიური იდენტობის გაცნობიერება გვინდა (და ალბათ უნდა გვინდოდეს, რახან გაგვაჩნია), საჭირო ხდება როგორც მისი ისტორიული ანალიზი, ისე დეკონსტრუქცია. ვფიქრობ, წარმოდგენილი წერილები მოკრძალებული, მაგრამ ყურადსაღები „საგზაო“ ამ რთულ გზაზე.

მცირე თვითკრიტიკა თუ დახმარება რეფლექსიაში: ავთო ჯოხაძის წერილი არაა დაზღვეული ანაქრონიზმისაგან – თამარისდროინდელი ფეოდალური სამყარო რალაციით თანამედროვე პოლიტიკას მოგვაგონებს. არჩილ ჩაჩხიანის ნაშრომიც ითხოვს მკაფიობას საიმისოდ, რომ გავერკვეთ – ავტორს პანთურქიზმი დღესაც აქტუალური ჰგონია თუ არა. თამარ თოლორდავა, მარიამ მათიაშვილი და რევაზ ქოიავა მეტად უნდა ჩაუღრმავდნენ მათი ინტერესის სფეროს ამსახველ პირველწყაროებსაც და ამ თემებზე უკვე არსებულ ნარატივებს, რათა გამოიკვეთოს უშუალოდ მათი წვლილი საქართველოს მოდერნიზაციის ნაირფერ ტკივილთა ჩვენებაში. და მაინც, სწორედ ამ ავტორებმა გაუძლეს რეცენზენტთა კრიტიკულ მზერას და შემოგვთავაზეს ტექსტები, რომლებიც დაგვეხმარება ნაციონალიზმისა და სახელმწიფო აღმშენებლობის კომპლექსურ პროცესთა კრიტიკულ აღქმაში. დანარჩენი – ალმანახის შემდგომი ბედის ჩათვლით – მკითხველ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. მესამე, 2017 წლის გამოცემა, მნიშვნელოვანწილად აქამდე გამოქვეყნებულ წერილებზე დაეთმობა რეაქციებს.